საქართველოს ტურიზმის სექტორი

ტურიზმის ბაზრის მიმოხილვა

Airbnb-ს აქტივობა თბილისის ბაზარზე შთამბეჭდავი ტემპით იზრდება. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, Airbnb-ზე განაცხადების რაოდენობა 233%-ით გაიზარდა 2015 წელს არსებული 2,100-დან მიმდინარე წელს არსებულ 7,000 განაცხადამდე. ამ ეტაპზე თბილისში დაახლოებით 4,300 მასპინძელი სთავაზობს სხვადასხვა ტიპის განთავსების მომსახურებას ვიზიტორებს. ყველაზე მეტად გავრცელებულია ერთ და ორსაძინებლიანი ბინები, რომლებიც მთლიანი განაცხადების დაახლოებით 60%-ს შეადგენენ. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 1,000 მესაკუთრეს აქვს Airbnb-ზე რამდენიმე განაცხადი, აქედან კი 100 მასპინძელს ოთხზე მეტი განაცხადი. შეიძლება ითქვას, რომ თბილისში რამდენიმე ბინის ყიდვა ან ქირაობა შემდგომში Airbnb-დან ქირის მისაღებად, გავრცელებულ ბიზნეს მოდელად იქცა.

Airbnb-ს ბინები აქტიურად ავსებენ ეკონომ კლასის სასტუმროების სეგმენტში არსებულ დანაკლისს. იგივე ტენდენცია შეინიშნება კომპანიის გლობალურ საქმიანობაშიც. მსოფლიოს მასშტაბით, Airbnb-ს ჯავშნების მხოლოდ 10% უკავშირდება საქმიან მოგზაურობებს და შესაბამისად, Airbnb-ს ყველაზე დიდი გავლენა არასაქმიანი მოგზაურობების სეგმენტში აქვს, სადაც სწორედ ეკონომ კლასის სასტუმროები ჭარბობს. ჩვენი შეფასებით, დღესდღეობით თბილისში სასტუმროების აღნიშნულ სეგმენტში მიწოდება დაახლოებით 3,500-4,000 ოთახს უტოლდება. ზემოთაღნიშნული სეგმენტის კონკურენტად მივიჩნევთ Airbnb-ზე ბინებს ზომით სტუდიოდან სამოთახიანის ჩათვლით, ასეთი ბინების რაოდენობა კი თბილისში 4,700-ს აღწევს. მიუხედავად მიწოდების სწრაფი ზრდისა, თბილისში არსებული ბინების დატვირთულობის კოეფიციენტიც იზრდება. 50-ე პერსენტილის დატვირთულობის კოეფიციენტი 2017 წლის ივნისში იყო 50% (+32 პ.პ. წ/წ), მაშინ როცა ბინების ტოპ 10%-სთვის იგივე მაჩვენებელი 93%-ს აჭარბებდა (+15 პ.პ. წ/წ). საშუალო დღიური ფასი თბილისში ერთ და ოროთახიანი ბინებისთვის მერყეობდა 19-25 აშშ დოლარის ინტერვალში, მაშინ როცა საშუალო შემოსავლები ერთ თავისუფალ ბინაზე (RevPAR) 23 აშშ დოლარს შეადგენდა 2017 წლის ივნისში (+30.6% წ/წ). ჩვენი შეფასებით, Airbnb-ს 50-ე პერსენტილის დატვირთულობის კოეფიციენტი და შემოსავლები თანხვედრაშია ეკონომ კლასის სასტუმროების სეგმენტის იგივე მაჩვენებლებთან.

ძირითადი ინდიკატორები

საერთაშორისო ვიზიტორები, 2016	6,360,503
ტურისტები, 2016	2,720,970
ტურიზმიდან შემოსავლები მშპ-სთან, 2016	15.1%
უვიზო რეჟიმის ქვეყნები	98
პირდაპირი ფრენები საქართველოდან	67
ავიაკომპანიები	32
განთავსების ობიექტები	1,903
ოთახები	26,480

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საგარეო საქმეთა სამინისტრო

ცხრილი 1: ვიზიტორები ქვეყნების მიხედვით, '000

ქვეყანა	6თ17	წ/წ ზრდა
აზერბაიჯანი	738	7.4%
სომხეთი	643	16.2%
თურქეთი	531	-15.9%
რუსეთი	507	27.5%
ირანი	121	223.4%
უკრაინა	84	18.8%
ისრაელი	49	48.1%
ინდოეთი	28	132.7%
ყაზახეთი	21	21.1%
პოლონეთი	21	24.9%
გერმანია	20	32.3%
აშშ	17	17.5%
ბელარუსი	15	25.7%
გაერთიანებული სამეფო	10	27.9%
უზბეკეთი	10	162.6%
სხვა	181	37.4%
ჯამი	2,996	13.4%

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გრაფიკი 1: Airbnb-ს ბინების დატვირთულობის კოეფიციენტი



წყარო: AirDna

გრაფიკი 2: Airbnb-ს ბინები კატეგორიების მიხედვით



წყარო: AirDna

ნინო პაპავა
საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის უფროსი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693
კახაბერ სამყურაშვილი
ანალიტიკოსი | ksamkurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

სხვა ქალაქებთან შედარებით მაღალი ფასების მიუხედავად, თბილისის მაღალი კლასის საერთაშორისო სასტუმროებში ოთახების უმეტესობა ზაფხულის თვეების განმავლობაში დაჯავშნილია. Booking.com-ს მონაცემების მიხედვით, თბილისში მაღალი კლასის საერთაშორისო სასტუმროების სეგმენტში ყველაზე მაღალი ფასებით Radisson Blu Iveria და Biltmore გამოირჩევიან. აღნიშნულ სასტუმროებში ფასები საშუალოდ 637 ლარიდან 775 ლარამდე მერყეობს ივლისისა და აგვისტოს თვეებში, მაშინ როცა Hualing Hotels & Preference და Tbilisi Marriott-ის ფასები 479-574 ლარის ინტერვალშია. აღსანიშნავია, რომ სასტუმრო „ამბასადორი", ადგილობრივი 5-ვარსკვლავიანი ბრენდი, ერთ-ერთ ყველაზე ძვირ სერვისს სთავაზობს მომხმარებელს (624-773 ლარი ივლისი-აგვისტოს განმავლობაში). საშუალო კლასის საერთაშორისი ბრენდული სასტუმროების სეგმენტში ფასები მერყეობს 271 ლარიდან 501 ლარამდე, ხოლო ყველაზე ძვირ ფასებს აღნიშნულ სეგმენტში Holiday Inn და Courtyard Marriott აწესებენ. საერთაშორისო სასტუმროების ფასები თბილისში შესამჩნევად მაღალია სხვა ქალაქებში იგივე ბრენდის შესადარი სასტუმროების ფასებზე. მაგალითად, Radisson Blu-ს საშუალო დღიური ფასი თბილისში ივლისში 67.6%-ით, ხოლო აგვისტოში 79.1%-ით აღემატება აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების სხვა ქალაქებში შესადარი მაჩვენებლების მქონე Radisson Blu-ს სასტუმროების ფასებს. ფასებში ასეთი განსხვავებები მიუთითებს თბილისში ბრენდული სასტუმროების ნაკლებობაზე, თუმცა ეს გარემოება ჩვენი აზრით დროებითია. დაგეგმილი პროექტების გრძელი სიაა თბილისში, მათი ეტაპობრივად დასრულება და ბაზარზე მიწოდების გაზრდა კი ზეწოლას მოახდენს ფასებზე და შესადარი ქალაქების მაჩვენებლებთან დაახლოვებს მათ.

საქართველომ 70-ე ადგილი დაიკავა 136 ქვეყანას შორის მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტულობის ინდექსის 2017 წლის გამოშვებაში. ინდექსის წინა გამოშვებაში საქართველო 143 ქვეყანას შორის 71-ე ადგილზე იყო. ეს ინდექსი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ორ წელიწადში ერთხელ ქვეყნდება და ოთხ ძირითად კატეგორიას აფასებს: ხელშემწყობი გარემო, ტურიზმის პოლიტიკა და ხელშემწყობი პირობები, ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი და კულტურული რესურსები. ყველაზე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება წინა გამოცემასთან შედარებით იყო 10 საფეხურით დაწინაურება ბიზნეს გარემოს ინდიკატორში, რაც ძირითადად განპირობებული იყო საკუთრების უფლებებისა და საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებით. მიუხედავად იმისა, რომ უცხოელი მუშახელის დაქირავების სიმარტივეში საქართველოს საკმაოდ მაღალი ქულა აქვს მინიჭებული, ადგილობრივი კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა გამოწვევად რჩება, რაც გამოხატულია თანამშრომლების ტრენინგების ხარისხში, მომხმარებლისადმი ორიენტაციაში და კვალიფიციური მუშახელის დაქირავების სიმარტივეში მიღებული უდაბლესი ქულებით. გარდა ამისა, რეპორტი ხაზს უსვამს ტურისტული მომსახურებისა და საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარების სასწრაფო აუცილებლობას.

გრაფიკი 3: საქართველოს შეფასება კატეგორიის და პოზიციის მიხედვით



წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საერთაშორისო ვიზიტორები საქართველოში

2017 წლის ივნისში საქართველოში შემოსული საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 0.67 მლნ-ს გაუტოლდა (+28.5% წ/წ). წამყვანი ქვეყნების ოთხეულიდან, ვიზიტორების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა სომხეთიდან (+28.8% წ/წ), აზერბაიჯანიდან (+16.6% წ/წ) და რუსეთიდან (+45.0% წ/წ). თურქეთიდან შემოსული ვიზიტორების შემცირება (-6.4% წ/წ) თანხვედრაშია ბოლო თვეების დაღმავალ ტენდენციასთან, თუმცა კლების ტემპი ივნისში წინა სამ თვესთან შედარებით დაბალი იყო. ევროკავშირიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა თითქმის 35,000-ს გაუტოლდა (+27.0% წ/წ).

საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 2017 წლის პირველ ნახევარში 3.00 მილიონი შეადგინა (+13.4% წ/წ). ვიზიტორების რიცხვი გაიზარდა ყველა წამყვანი ქვეყნიდან, გარდა თურქეთისა (-15.9% წ/წ). ვიზიტორთა რაოდენობის ზრდაში წამყვანი როლი ითამაშეს სომხეთმა (+16.2% წ/წ, +3.4 პ.პ.) და რუსეთმა (+27.5% წ/წ, +4.1 პ.პ.). აზერბაიჯანის კონტრიბუცია 1.9 პროცენტული პუნქტი (პ.პ.) იყო, რადგან აზერბაიჯანიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა შედარებით ნელი ტემპებით იზრდებოდა (+7.4% წ/წ), თუმცა 2016 წლის პირველი ნახევრის მაღალი ბაზიდან (+18.2% წ/წ). ირანელი ვიზიტორების რაოდენობა 3.2-ჯერ, თითქმის 121,000-მდე გაიზარდა და საგრძნობლად გადააჭარბა უკრაინელი ვიზიტორების რაოდენობას (+18.8 წ/წ) 2017 წლის პირველ ნახევარში.

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტორების 80.7% ოთხი წამყვანი ქვეყნიდან იყო, მეორადი ბაზრების მაჩვენებლებიც მკვეთრად გაუმჯობესდა. მეორადი ბაზრებიდან (ევროკავშირის გარდა) ვიზიტორების ზრდამ 3.7 პ.პ. შემატა ჯამურ 13.4%-იან ზრდაში. ისრაელიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ 49,000-ს (+48.1% წ/წ) გადააჭარბა, ხოლო ინდოელი ვიზიტორების რაოდენობამ 27,000-ს (+132.7% წ/წ). ევროკავშირიდან ჩამოსული ვიზიტორების რაოდენობა 23.2%-ით გაიზარდა თითქმის 128,000-მდე 2017 წლის პირველ ნახევარში, რაც გერმანიიდან (+32.3% წ/წ), პოლონეთიდან (+24.9% წ/წ) და გაერთიანებული სამეფოდან (+27.9% წ/წ) შემოსული ვიზიტორების მკვეთრმა ზრდამ განაპირობა.

გრაფიკი 4: ვიზიტორები ქვეყნების მიხედვით, ივნისი 2017 (მლნ)



შენიშვნა: პ.პ. - პროცენტული პუნქტი კონტრიბუცია ვიზიტორების ჯამურ ზრდაში
წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გრაფიკი 5: ვიზიტორები ქვეყნების მიხედვით, 6თ17 (მლნ)



შენიშვნა: პ.პ. - პროცენტული პუნქტი კონტრიბუცია ვიზიტორების ჯამურ ზრდაში
წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

2017 წლის ივნისის მონაცემებით, ტურისტები კვლავ წამყვან როლს თამაშობენ უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდაში. იმ ვიზიტორების რიცხვი, რომლებმაც საქართველოში 24 საათზე მეტი დაჰყვეს (ტურისტები) ივნისში 43.0%-ით გაიზარდა - ისტორიულად ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - და მთლიანი ვიზიტორების 49.3% შეადგინა. ერთდღიანი ვიზიტორების რაოდენობა თითქმის უცვლელი დარჩა, ხოლო ტრანზიტული ვიზიტორების რიცხვი შთამბეჭდავად გაიზარდა (+42.9% წ/წ). 2017 წლის ექვსი თვის მონაცემებით, ტურისტების რაოდენობამ 1.31 მილიონი შეადგინა (+29.1% წ/წ), ერთდღიანი ვიზიტორების რაოდენობა 2.7%-ით შემცირდა, ხოლო ტრანზიტული ვიზიტორების რაოდენობა წლიურად 17.1%-ით გაიზარდა.

გრაფიკი 6: ვიზიტორები კატეგორიების მიხედვით, ივნისი 2017 (მლნ)



შენიშვნა: პ.პ. - პროცენტული პუნქტი კონტრიბუცია ვიზიტორების ჯამურ ზრდაში
წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გრაფიკი 7: ვიზიტორები კატეგორიების მიხედვით, 6თ17 (მლნ)



შენიშვნა: პ.პ. - პროცენტული პუნქტი კონტრიბუცია ვიზიტორების ჯამურ ზრდაში
წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ცხრილი 2: ტურიზმის ძირითადი ინდიკატორები

	2012	2013	2014	2015	2016	6თ17
ტურიზმიდან შემოსულობები, მლნ $	1,410	1,719	1,787	1,935	2,166	435*
საერთაშორისო ვიზიტორები	4,428,221	5,392,303	5,515,559	5,901,094	6,360,503	*2,996,170*
კატეგორიების მიხედვით						
ტურისტი	*1,789,592*	*2,065,296*	*2,229,094*	*2,281,971*	*2,720,970*	*1,309,982*
ტრანზიტი	*754,959*	*1,188,791*	*1,114,036*	*1,400,835*	*1,321,344*	*611,207*
ერთდღიანი	*1,883,670*	*2,138,216*	*2,172,429*	*2,218,288*	*2,318,189*	*1,074,981*
ქვეყნების მიხედვით						
აზერბაიჯანი	*931,933*	*1,075,857*	*1,283,214*	*1,393,257*	*1,523,703*	*737,579*
სომხეთი	*921,929*	*1,291,838*	*1,325,635*	*1,468,888*	*1,496,437*	*642,661*
თურქეთი	*1,533,236*	*1,597,438*	*1,442,695*	*1,391,721*	*1,256,561*	*531,093*
რუსეთი	*513,930*	*767,396*	*811,621*	*926,144*	*1,038,750*	*507,069*
სხვა	*527,193*	*659,774*	*652,394*	*721,084*	*1,045,052*	*577,798*
აეროპორტები	429,364	585,716	643,088	764,588	1,066,378	625,772
მათ შორის						
თბილისი	*378,947*	*462,173*	*493,895*	*627,903*	*845,830*	*514,980*
ქუთაისი	*46,272*	*54,975*	*65,528*	*77,490*	*129,551*	*50,967*
ბათუმი	*4,145*	*68,568*	*83,665*	*59,195*	*90,997*	*59,825*
განთავსების ობიექტები	826	940	1,035	1,374	1,742	1,903
ოთახები განთავსების ობიექტებში	13,123	15,781	17,303	21,429	24,854	26,480
საწოლები განთავსების ობიექტებში	30,857	37,159	40,809	51,165	59,636	63,742

**2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემი*
წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საქართველოს ეროვნული ბანკი

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს ბიჯეო ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამომწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
დავით ნინიკელაშვილი | dninikelashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ბაჩანა შენგელია | bshengelia@gt.ge

ანალიტიკოსი
იოსებ ქუმსიშვილი | ikumsishvili@gt.ge